შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA

2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

ქ. თბილისი 11.11.2025

გასული წელი საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-სთვის გამოირჩეოდა ინტენსიური განვითარებითა და ყველა სტრატეგიული ამოცანის შესაბამისი აქტივობების წარმატებით შესრულებით. სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავდა აკადემიის საგანმანათლებლო, ინფრასტრუქტურული, საერთაშორისო და მმართველობითი შესაძლებლობების გაძლიერებას.

მონიტორინგის შედეგები აჩვენებს, რომ დაგეგმილი მიმართულებები სრულად იქნა რეალიზებული.

საგანმანათლებლო მიმართულებით, აკადემიამ განახორციელა პროგრამების გაფართოება და მათი ხარისხის უწყვეტი შეფასება. შეიქმნა 4 (ოთხი) ახალი პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამა, შეფასდა მოქმედი 3 (სამი) პროგრამა, ხოლო არაფორმალური განათლების აღიარების სფეროში შემუშავდა ცნობიერების ამაღლების კონცეფცია. სტუდენტებზე ორიენტაციის პოლიტიკის ფარგლებში შეიქმნა ცნობიერების ამაღლების ელექტრონული მასალები. განხორციელდა კულტურულ-შემეცნებითი აქტივობები და გაძლიერდა სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერა.

ინსტიტუციური განვითარების კუთხით, განახლდა და გამრავალფეროვნდა აკადემიის ინფრასტრუქტურა: მოეწყო ორი ახალი ლაბორატორია, სტუდენტური შიდა და გარე სივრცეები, სპორტული მოედანი და კაფეტერია. გაუმჯობესდა IT ინფრასტრუქტურა, განახლდა პროგრამული უზრუნველყოფა და აუდიტორიები აღიჭურვა თანამედროვე ტექნიკით. დასრულდა უსაფრთხოების სისტემების სრულ შესაბამისობაში მოყვანა კანონმდებლობასთან, რაც დადასტურებულია შესაბამისი ექსპერტიზებითა და ინსპექტირების ანგარიშებით.

ადამიანური რესურსების მართვაში პილოტირებულია ადმინისტრაციული პერსონალის და მასწავლებელთა შეფასებისა და განვითარების სისტემა, რითაც საფუძველი ჩაეყარა მათი პროფესიული ზრდის და უწყვეტი პროფესიული განვითარების

სტრუქტურირებულ მექანიზმს. პარალელურად განხორციელდა შიდა მარეგულირებელი აქტების რევიზია და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დახვეწა.

ბრენდინგისა და მარკეტინგის მიმართულებით, აკადემიამ განაახლა ვიზუალური იდენტობა და ვებ.გვერდი, ხოლო სოციალური ქსელების კომუნიკაცია გადაიზარდა სტრატეგიულ, ერთიან სტილში - რასაც მოჰყვა გამომწერების ზრდა 8.8%-ით.

საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებით, აკადემიამ მნიშვნელოვანი წინსვლა განიცადა ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელებაში. შემუშავდა და საავტორიზაციოდ მომზადდა საბაჟო საქმის ინგლისურენოვანი პროგრამა, გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმები მიუნხენისა და გიუმრის კოლეჯებთან, განხორციელდა პერსონალის ენობრივი ტესტირება და შემუშავდა ენის კომპეტენციის განვითარების კონცეფცია. აკადემია გაწევრიანდა EfVET-სა და ETF Excellence Network-ში, რითაც კიდევ უფრო გაძლიერდა მისი პოზიციონირება საერთაშორისო საგანმანათლებლო ქსელებში. აკადემიის მთლიანი ინფრაქტრუატურა ადაპტირდა ინგლისურ ენაზე და გაძლიერდა ინტერნაციონალიზაციის ასპექტები.

2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის შესრულებამ მნიშვნელოვნად განამტკიცა საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ს სტატუსი როგორც თანამედროვე, ინოვაციურ და ევროპულ სტანდარტებზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო ინსტიტუციად. შესრულებული ინიციატივები ქმნის მყარ საფუძველს მომდევნო ეტაპზე ხარისხის, ინოვაციისა და საერთაშორისო პარტნიორობის კიდევ უფრო გაღრმავებისთვის.

სტრატეგიული მიზანი 1. შრომის ბაზრის მოთხოვნებისა ან/და საზოგადოების წევრთა პიროვნული განვითარების საჭიროებათა შესაბამისი პროგრამებისა და ინოვაციური სერვისების შეთავაზება		
სტრატეგიული ამოცანა	**1.1. შეთავაზებული პროგრამების სპექტრის გაფართოება**	**შენიშვნა**
აქტივობები	1.1.1. მინიმუმ ორი ახალი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების დამატება	
ინდიკატორი	1. შემუშავებულია არანაკლებ 2 პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამა	
განხორციელების პერიოდი	**2024 წლის ნოემბერი - 2025 წლის თებერვალი**	
პასუხისმგებელი	სასწავლო პროცესის მართვის სამსახური	
თანაშემსრულებელი	ას; ხმს; სპმს	
შესრულების შედეგი	**შესრულებულია**	
შესრულების მტკიცებულება	1. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილებები	

სტრატეგიული ამოცანა	**1.2. აკადემიის მიერ განხორციელებული ყველა სასერტიფიკატო ან არაფორმალური განათლების პროგრამის მუდმივი შესაბამისობის უზრუნველყოფა შრომის ბაზრის განვითარების ტენდენციებთან ან პიროვნული განვითარების საჭიროებებთან**	**შენიშვნა**
აქტივობები	1.2.1. არსებული პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებიდან მინიმუმ 3 პროგრამის შეფასება.	
ინდიკატორი	1. ხარისხის მართვის სამსახურის სამოქმედო გეგმაში შეფასებისთვის შესულია სამი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამა 2. დასრულებულია სამი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის შემოწმება	
განხორციელების პერიოდი	**2024 წლის ნოემბერი - 2025 წლის ოქტომბერი**	
პასუხისმგებელი	ხარისხის მართვის სამსახური	
თანაშემსრულებელი	სპმს	
შესრულების შედეგი	**შესრულებულია**	
შესრულების მტკიცებულება	2024-2025 წლის ხარისხის უზრუნველყოფის წლიურ სამოქმედო გეგმაში შეფასებისთვის შესულია სამი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამა. შემოწმებისათვის განისაზღვრა შემდეგი პროგრამები: 1. სააღმზრდელო პროცესის წარმართვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში; 2. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობ; 3. საბაჟო დეკლარირება. შემოწმების ვადად გაწერია 2025 წლის აპრილიდან ოქტომბრამდე პერიოდი.სამივე პროგრამა შეფასებულია და შეფასების დასკვნები განხილულ იქნა მენეჯმენტის სამუშაო შეხვედრებზე.	
სტრატეგიული ამოცანა	**1.3. აკადემიის მიერ არაფორმალური განათლების აღიარების სერვისის შესაძლებლობათა რეალიზება სწავლის გაგრძელების ან კვალიფიკაციის მინიჭების მიზნებისთვის**	**შენიშვნა**
აქტივობები	1.3.1. არაფორმალურ განათლების აღიარებასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების მიზნით კონცეფციის განსაზღვრა.	
ინდიკატორი	1. განსაზღვრულია კონცეფცია არაფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების მიზნით 2. მიღებულია გადაწყვეტილება არაფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების კონცეფციის დამტკიცების შესახებ	
განხორციელების პერიოდი	**2024 წლის ნოემბერი - 2025 წლის ოქტომბერი**	

პასუხისმგებელი	ადმინისტრაციული სამსახური	
თანაშემსრულებელი	დირექტორი, რექტორი	
შესრულების შედეგი	**შესრულებულია**	
შესრულების მტკიცებულება	შემუშავებულია არაფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების კონცეფცია	
სტრატეგიული ამოცანა	**1.3. აკადემიის მიერ არაფორმალური განათლების აღიარების სერვისის შესაძლებლობათა რეალიზება სწავლის გაგრძელების ან კვალიფიკაციის მინიჭების მიზნებისთვის.**	**შენიშვნა**
აქტივობები	1.3.2. არაფორმალურ განათლების აღიარებასთან დაკავშირებით კამპანიის განხორციელება.	
ინდიკატორი	1. განხორციელებულია არაფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებული არანაკლებ 1 კამპანია	
განხორციელების პერიოდი	**2024 წლის ნოემბერი - 2025 წლის ოქტომბერი**	
პასუხისმგებელი	ადმინისტრაციული სამსახური	
თანაშემსრულებელი	სპმს	
შესრულების შედეგი	**შესრულებულია**	
შესრულების მტკიცებულება	აკადემიამ უზრუნველყო არაფორმალური განათლების აღიარების თემის აქტუალიზება და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის გავრცელება. აღნიშნული მიზნის ფარგლებში აკადემიის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე გამოქვეყნდა სტატია, რომელიც განმარტავს არაფორმალური განათლების მნიშვნელობას, აღიარების მექანიზმებსა და შესაძლებლობებს. პუბლიკაციის საშუალებით საზოგადოებამ მიიღო ინფორმაცია არსებული რეგულაციების, პროცედურებისა და პრაქტიკული მაგალითების შესახებ, რაც ხელს უწყობს პოტენციურ დაინტერესებულ პირებში ცნობიერების ამაღლებას.	
სტრატეგიული ამოცანა	**1.4. აკადემიის მიერ შეთავაზებული სერვისების მორგება პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებზე.**	**შენიშვნა**
აქტივობები	1.4.1. აკადემიის ინტეგრირებული პროგრამების სტუდენტებისათვის სასწავლო გარემოსთან ადაპტირების მიზნებისთვის მომხმარებელზე მორგებული მასალების მომზადება.	
ინდიკატორი	1. აკადემიის ინტეგრირებული პროგრამების სტუდენტებისათვის სასწავლო გარემოსთან ადაპტირების მიზნებისთვის მომზადებულია მომხმარებელზე მორგებული არანაკლებ 1 ელექტრონული/მატერიალური მასალა	
განხორციელების პერიოდი	**2025 წლის აპრილი - 2025 წლის სექტემბერი**	
პასუხისმგებელი	ადმინისტრაციული სამსახური	
თანაშემსრულებელი	დირექტორი; სპმს	

შესრულების შედეგი	**შესრულებულია**	
შესრულების მტკიცებულება	შემუშავებულია ელექტრონული მასალა “7 ფაქტი კოლეჯში სწავლის შესახებ”	
სტრატეგიული ამოცანა	**1.4. აკადემიის მიერ შეთავაზებული სერვისების მორგება პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებზე.**	**შენიშვნა**
აქტივობები	1.4.2. საშუალოდ წელიწადში აკადემიის ან სტუდენტების მიერ ინიციირებული არანაკლებ 2 აქტივობის ჩატარება: ერთი აქტივობა კულტურულ-შემეცნებითი და ერთი აქტივობა სპორტის მიმართულებით.	
ინდიკატორი	1. პროფესიული სტუდენტის ან პროფესიულ სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფის მიერ ინიცირებული არანაკლებ 2 აქტივობა	
განხორციელების პერიოდი	**2024 წლის ნოემბერი - 2025 წლის ოქტომბერი**	
პასუხისმგებელი	ადმინისტრაციული სამსახური	
თანაშემსრულებელი	დირექტორი; სპმს	
შესრულების შედეგი	**შესრულებულია**	
შესრულების მტკიცებულება	მიმდინარე პერიოდისათვის აკადემიაში შემოსულია ექვსი ინიციატივა. პროფესიული განათლების მასწავლებელთა და სტუდენტთა ინიციატივების კონკურსის ფარგლებში აკადემიაში შემოვიდა 5 ინიციატივა, კონკურსის ფარგლებში დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე, მხარდაჭერილ იქნა 2 ინიციატივა, რომელთა განხორციელებაც დაგეგმილია კონკურსის პირობებით დადგენილი ვადების დაცვით. ხოლო სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მენეჯერის, ირმა თევდორაშვილის მიერ დამატებით წარდგენილი იქნა კიდევ ერთი ინიციატივა, რის საფუძველზეც განხორციელდა კულტურულ-შემეცნებითი მიმართულების აქტივობა, კერძოდ დაიდგა სპექტაკლი „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“.	
სტრატეგიული მიზანი 2. ინსტიტუციური შესაძლებლობები უზრუნველყოფენ აკადემიის წარმატებულ ფუნქციონირებას		
სტრატეგიული ამოცანა	**2.1. აკადემიის ინფრასტრუქტურა შეესაბამება თანამედროვე ტენდენციებს და სრულად უზრუნველყოფს აკადემიის მიზნების მიღწევას.**	**შენიშვნა**
აქტივობები	2.1.1. ორი ახალი ლაბორატორიის მოწყობა საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიანად განხორციელებისათვის.	
ინდიკატორი	1. შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილია სულ მცირე ორი ლაბორატორია, რომელიც მოწყობილია საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტურად განხორციელებისათვის	

განხორციელების პერიოდი	**2024 წლის ოქტომბერი - 2025 წლის მარტი**	
პასუხისმგებელი	ადმინისტრაციული სამსახური	
შესრულების შედეგი	**შესრულებულია**	
შესრულების მტკიცებულება	აკადემიის C კორპუსში დასრულებულია ორი ლაბორატორიის მოწყობა, ახალი ქიმიურ-ბიოლიგიური ლაბორატორია, შინმოვლის და ავადმოვლის მოდულის განხორციელებისთვის სიმულაციური ლაბორატორია, რომელიც ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საექთნო საქმის პროგრამის საკვალიფიკაციო გამოცდის მიზნებისთვის. შეძენილია ინვენტარი. მტკიცებულება: ფოტო მასალა	
სტრატეგიული ამოცანა	**2.1. აკადემიის ინფრასტრუქტურა შეესაბამება თანამედროვე ტენდენციებს და სრულად უზრუნველყოფს აკადემიის მიზნების მიღწევას.**	**შენიშვნა**
აქტივობები	2.1.2. ერთი გარე და ერთი შიდა სტუდენტური სივრცის მოწყობა.	
ინდიკატორი	1. მოწყობილია არანაკლებ ერთი სტუდენტური სივრცე	
განხორციელების პერიოდი	**2024 წლის ოქტომბერი - 2025 წლის მარტი**	
პასუხისმგებელი	ადმინისტრაციული სამსახური	
შესრულების შედეგი	**შესრულებულია**	
შესრულების მტკიცებულება	აკადემიის B კორპუსის მეორე სართულზე მოწყობილია თანამედროვე ტიპის სტუდენტური შიდა სივრცე, სადაც სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ ისარგებლონ ინტერნეტით და დამტენი მოწყობილობებით. B,C კორპუსის რეკრეაციული სივრცე სრულიად გამწვანებულია ახალი ნარგავებით და აღჭურვილია დასვენებისთვის საჭირო სკამებით და მაგიდით. აკადემიის A კორპუსის მესამე სართულზე მიმდინარეობს კაფეტერიის მოწყობა. ასევე A კორპუსის რეკრეაციულ სივრცეში მოეწყო ორი ფანჩატური. მტკიცებულება: ფოტო მასალა	
სტრატეგიული ამოცანა	**2.1. აკადემიის ინფრასტრუქტურა შეესაბამება თანამედროვე ტენდენციებს და სრულად უზრუნველყოფს აკადემიის მიზნების მიღწევას.**	**შენიშვნა**
აქტივობები	2.1.3. კომპიუტერული პროგრამული საშუალებების გაუმჯობესება, აკადემიის სამივე კორპუსის აიტი მომსახურების მიზნით ფიზიკური და ქსელური ოპერაციული სისტემის გამართვა.	

ინდიკატორი	1. აკადემიის სამივე კორპუსის აიტი მომსახურების მიზნით ფიზიკური და ქსელური ოპერაციული სისტემა გამართულია	
განხორციელების პერიოდი	**2024 წლის ოქტომბერი - 2025 წლის მარტი**	
პასუხისმგებელი	ადმინისტრაციული სამსახური	
შესრულების შედეგი	**შესრულებულია**	
შესრულების მტკიცებულება	მტკიცებულება, მოხდა ფიზიკური სასერვეროს მოწყობა, ლიცენზირებული Firewall-ის Fortinet-ს დაყანება, ყველა ლაბორატორები მათ შორის ადმინისტრაციული პერსონალის კომპიუტერები აყვანილია ე.წ დომეინზე, აკადემიის დაფარვა მოხდა ე.წ Unifi-ის სისტემით. ქსელში არსებულ ქსელის უსაფრთხოების პოლიტიკიღ სარგებლობს სამივე კორპუსი. ყველა აუდიოტრები აღიჭურვა 65 ინჩიანი 4k მონიტორებით ბიბლიოთეკაში დაყენდა ლეპტოპები, და ასევე ეკრანი. 301 კომპიუტერული ლაბორატოია ჩამოვიდა და მოეწყო პირველ სართულზე 116/118 ლაბორატორიაში.	
სტრატეგიული ამოცანა	**2.1. აკადემიის ინფრასტრუქტურა შეესაბამება თანამედროვე ტენდენციებს და სრულად უზრუნველყოფს აკადემიის მიზნების მიღწევას.**	**შენიშვნა**
აქტივობები	2.1.4. სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა.	
ინდიკატორი	1. მოწყობილია სპორტული მოედანი მინიმუმ სპორტის 2 სახეობისთვის	
განხორციელების პერიოდი	**2024 წლის ოქტომბერი - 2025 წლის მარტი**	
პასუხისმგებელი	ადმინისტრაციული სამსახური	
შესრულების შედეგი	**შესრულებულია**	
შესრულების მტკიცებულება	აკადემიის A კორპუსის ეზოში მიმდინარეობს სპორტული მოედნის მოწყობა რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს განვახორციელოთ სამი სპორტის სახეობა (ფეხბურთი, კალათბურთი, ფრემბურთი). აკადემიას ასევე შეძენილი აქვს ორი სპორტული მიმართულების განხორციელებისთვის ივენტარი ესენია: აერობიკა და მაგიდის ჩოგბურთი. ამ ორი სპორტული მიმართულების განხორციელების შესაძლებლობას დღესაც იძლევა აკადემიის ინფრასტრუქტურა. მტკიცებულება: ფოტო მასალა, ინვენტარის შესყიდვის აქტი	

სტრატეგიული ამოცანა	**2.2. ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტებთან აკადემიის შენობა -ნაგებობის შესაბამისობაში მოყვანა.**	შენიშვნა
აქტივობები	2.2.1. დაწესებულების აღჭურვა კანონით გათვალისწინებული უსაფრთხოების სისტემებით და ინვენტარით.	
ინდიკატორი	1. აკადემიის ყველა სივრცეში დაცულია კანონმდებლობით მოთხოვნილი უსაფრთხოების ზომები	
განხორციელების პერიოდი	**2024 წლის ოქტომბერი - 2025 წლის მარტი**	
პასუხისმგებელი	ადმინისტრაციული სამსახური	
შესრულების შედეგი	**შესრულებულია**	
შესრულების მტკიცებულება	საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრმა „112“-მა შესრულებული სამუშაოების შედეგად დადებითად შეაფასა, რომ აკადემიის A, B და C კორპუსებში დამონტაჟებული ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა სრულად აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს. ტექნიკური ინსპექტირების ორგანოს მიერ აკადემიის B და C კორპუსებში ტექნიკური მდგომარეობა საფუძვლიანად იქნა შესწავლილი და დადასტურდა, რომ სრულად შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ მოვთხოვნებთან და უზრუნველყოფილია უსაფთხო სასწავლო და სამუშაო გარემო. შესაბამისად აკადემიის მფლობელობაში არსებული სამივე კორპუსი შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენის მოთხოვნებთან. აკადემიის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა სრულად შესაბამისობაშია მოყვანილი და მასში ასახულია B, C კორპუსების შესახებაც ინფორმაცია. სახანძრო ექსპერტიზის ბიუროს მიერ აკადემიის B, C კორუსებში განხორციელდა ინსპექტირება სახანძრო უსაფრთხოების საკითხში და მიღებულია დადებითი დასკვნა. შესაბამისად აკადემიის სამივე კორპუსი შესაბამისობაშია ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტებთან.	

	შესრულების მტკიცებულება: **1 – Camera.mia.gov.ge-ს პორტალის სქრინი მონიტორინგის კომენტარი/დასკვნა.** **2 - ექსპერტიზის დასკვნა B,C კორპუსების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ.** **3 - საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმაზე გაცემული დასკვნა.**	
სტრატეგიული ამოცანა	**2.3. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება.**	**შენიშვნა**
აქტივობები	2.3.1. აკადემიის შიდა მარეგულირებელი აქტების რევიზია.	
ინდიკატორი	1. აკადემიის ყველა მარეგულირებელი აქტი რევიზირებულია	
განხორციელების პერიოდი	**2024 წლის ოქტომბერი - 2025 წლის მარტი**	
პასუხისმგებელი	ხარისხის მართვის სამსახური	
შესრულების შედეგი	**შესრულებულია**	
შესრულების მტკიცებულება	2024-2025 წლის ხარისხის უზრუნველყოფის წლიურ სამოქმედო გეგმაში გაწერილია აკადემიის შიდა მარეგულირებელი აქტების რევიზია 2024 წლის ნოემბრიდან 2025 წლის მარტამდე პერიოდში. სამოქმედო გეგმაზე დაყრდნობით, სამსახურმა შეიმუშავა შიდა მარეგულირებელი აქტების გავლის განრიგი, რომლის შესაბამისად გადახედილია ყველა შიდა მარეგულირებელი აქტი.	
სტრატეგიული ამოცანა	**2.3. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება.**	**შენიშვნა**
აქტივობები	2.3.2. აკადემიის პროცესების სქემატური აღწერა, რევიზირებული შიდა მარეგულირებელი აქტების გათვალისწინებით.	
ინდიკატორი	1. აკადემიის ყველა პროცესი აღწერილია სქემატურად	
განხორციელების პერიოდი	**2024 წლის ოქტომბერი - 2025 წლის მარტი**	
პასუხისმგებელი	ხარისხის მართვის სამსახური	
შესრულების შედეგი	**გაუქმებულია**	
შესრულების მტკიცებულება	ხარისხის მართვის სამსახურმა, 2025 წლის 18 თებვერვალს, № 00002504 სამსახურეობრივი ბარათით დააინიცირა ცვლილება ხარისხის მართვის პოლიტიკა და წესში, რომ წესიდან ამოღებული ყოფილიყო პროცესების ცალკე დოკუმენტად არსებობის საკითხი, რადგან ბოლო ორი წლის პრაქტიკამ აჩვენა, რომ აკადემიის მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე	

	პროცესების ცალკე დოკუმენტად არსებობას არ ჰქონდა პრაქტიკული გამოყენება პასუხისმგებელი სამსახურებისა და პირების მხრიდან. შესაბამისად, სხვა არსებული პრიორიტეტების გათვალისწინებით, უმჯობესი იქნებოდა, აღნიშნულის, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესიდან ამოღება. აკადემიის რექტორი დაეთანხმა ხარისხის მართვის სამსახურის ინიცირებას წესში ცვლილებების შესახებ, რაც დასტურდება № 00002665 ბრძანებით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გაუქმდა 2.3.2. აქტივობა.	
სტრატეგიული ამოცანა	**2.4. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ეფექტურობის გაზრდა.**	**შენიშვნა**
აქტივობები	2.4.1. ამოქმედებულია ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების და პროფესიული განვითარების სისტემის პილოტირება.	
ინდიკატორი	1. პილოტირებულია არანაკლებ 5 ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების და პროფესიული განვითარების სისტემა	
განხორციელების პერიოდი	**2024 წლის ოქტომბერი - 2025 წლის მარტი**	
პასუხისმგებელი	ადმინისტრაციული სამსახური	
შესრულების შედეგი	**შესრულებულია**	
შესრულების მტკიცებულება	2024-2025 წლის სამოქმედო და სტრატეგიული გეგმით განისაზღვრა ადმინისტრაციულ თანამშრომელთა შეფასება საპილოტე რეჟიმში. საპილოტედ ფასდება 5 თანამშრომელი. აღნიშნული თანამშრომლებისთვის შემუშავებულია შესაფასებელი KPI-ები და კომპეტენციები	
სტრატეგიული ამოცანა	**2.5. კონცეპტუალური მარკეტინგული იდენტობის შექმნა.**	**შენიშვნა**
აქტივობები	2.5.1. ბრენდბუქის შექმნა.	
ინდიკატორი	1. შექმნილია ბრენდბუქი	
განხორციელების პერიოდი	**2024 წლის ნოემბერი - 2025 წლის ოქტომბერი**	
პასუხისმგებელი	ადმინისტრაციული სამსახური	
შესრულების შედეგი	**შესრულებულია**	
შესრულების მტკიცებულება	საანგარიშო პერიოდში განხორციელდა აკადემიის ვიზუალური იდენტობის კონცეპტუალური განვითარება, რომელიც გამოიხატა ბრენდირებული ნივთებისა და კომუნიკაციის სტანდარტიზაციაში. დამზადდა სხვადასხვა ტიპის ბრენდირებული პროდუქცია: კალმები,	

	ბლოკნოტები, მეხსიერების ბარათები, ტელეფონის აქსესუარები, მაუსის პადები, საქაღალდეები, სახაზავები, საინფორმაციო ბროშურები და ფლაერები, ბრენდირებული შოკოლადები, ლეიბლები, საშვები და აბრები. პარალელურად განახლდა აკადემიის ლოგო და შემუშავდა ერთიანი სტილის საინფორმაციო მასალები. ბრენდირებული ელემენტების გარდა, სოციალური ქსელის ვიზუალური კომუნიკაცია დაფუძნდა სტანდარტიზებულ ფერთა პალიტრაზე (#b80000; #ffffff; #061e3d; #e1e7ec), რაც უზრუნველყოფს ბრენდის თანმიმდევრულ, ერთიან და სტაბილურ აღქმას. გარდა ამისა, სოციალური ქსელისათვის განისაზღვრა Tone of Voice, რომელიც აკადემიურ, ოფიციალურ და ავტორიტეტულ პროფესიონალურ სტილს ეფუძნება. დიზაინის სტრატეგია დამყარებულია მინიმალისტურ და რეალისტურ მიდგომაზე, რაც ვიზუალურ მასალებს ანიჭებს მკაფიოებას, სიზუსტესა და თანამედროვე ესთეტიკას.	
სტრატეგიული ამოცანა	**2.5. კონცეპტუალური მარკეტინგული იდენტობის შექმნა.**	**შენიშვნა**
აქტივობები	2.5.2. ვებ-გვერდის კონცეპტუალური განვითარება.	
ინდიკატორი	1. განახლებული ვებ-გვერდი არის მომხმარებელზე მორგებული	
განხორციელების პერიოდი	**2024 წლის ნოემბერი - 2025 წლის ოქტომბერი**	
პასუხისმგებელი	ადმინისტრაციული სამსახური	
შესრულების შედეგი	**შესრულებულია**	
შესრულების მტკიცებულება	ვებ-გვერდის კონცეპტუალური განვითარება განხორციელდა განსაზღვრული მიზნებისა და სტრატეგიული ამოცანების შესაბამისად. პროცესის ფარგლებში შეიქმნა საიტის ინფორმაციული არქიტექტურა, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებლისთვის მარტივ ნავიგაციას და სტრუქტურირებულ ინფორმაციას. პარალელურად დაინერგა აკადემიის ბრენდის ელემენტებთან შესაბამისობაში მყოფი ვიზუალური იდენტობის ელემენტები. დასრულდა დიზაინის კონცეპტების ტესტირება, განხორციელდა ტექნიკური ოპტიმიზაცია და გაშვებულ იქნა განახლებული ვებ-გვერდი, სადაც სრულადაა წარმოდგენილი ის ინფორმაცია, რომელიც დეველოპერს გადაეცა ტექნიკური დავალების სახით. აღნიშნული შედეგის დადასტურება შესაძლებელია **ვებ-გვერდის უშუალო დათვალიერებითა** და მასზე განთავსებული კონტენტის შედარებით **დეველოპერისთვის განკუთვნილ ტექნიკურ დავალებასთან.**	
სტრატეგიული ამოცანა	**2.5. კონცეპტუალური მარკეტინგული იდენტობის შექმნა.**	**შენიშვნა**

აქტივობები	2.5.3. თემატური კონტენტის განთავსება სოც. ქსელებში.	
ინდიკატორი	1. მზარდია სოციალური ქსელების გამომწერთა რაოდენობა	
განხორციელების პერიოდი	**2024 წლის ნოემბერი - 2025 წლის ოქტომბერი**	
პასუხისმგებელი	ადმინისტრაციული სამსახური	
შესრულების შედეგი	**შესრულებულია**	
შესრულების მტკიცებულება	საანგარიშო პერიოდასათვის საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ს ფეისბუქ გვერდზე სისტემატურად ქვეყნდებოდა სხვადასხვა ტიპის თემატური კონტენტი, მათ შორის სტატიკური ვიზუალები, დინამიკური პოსტები, ვიდეომასალა და სხვადასხვა სახის აქტივობებისა და თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ საინფორმაციო პოსტები. კონტენტის რეგულარული განთავსება ემყარებოდა წინასწარ განსაზღვრულ სტრატეგიას, რომელიც მიზნად ისახავდა როგორც ბრენდის ცნობადობის გაზრდას, ასევე სამიზნე აუდიტორიასთან აქტიური და ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველყოფას. აღნიშნული აქტივობების შედეგად მკაფიოდ გამოიკვეთა გამომწერების ზრდის ტენდენცია. ბოლო ერთი წლის განმავლობაში ფეისბუქ გვერდის გამომწერების რაოდენობა **52,000-დან გაიზარდა 56,345-მდე, რაც ნიშნავს 4,345 ახალ გამომწერს (+8.8%).** აღნიშნულ მონაცემები ასახულია Meta Business Suite-ის ოფიციალურ სტატისტიკურ დიაგრამაში.	
სტრატეგიული ამოცანა	**2.6. პროექტი - "გააზიარე ცოდნა გააზიარე გამოცდილება".**	**შენიშვნა**
აქტივობები	2.6.1. პროექტის გაწერა.	
ინდიკატორი	1. იდენტიფიცირებულია პროექტის მონაწილეების სია 2. მონაწილე პირები გაეცნენ აქტივობებს	
განხორციელების პერიოდი	**2024 წლის ნოემბერი - 2025 წლის ოქტომბერი**	
პასუხისმგებელი	ადმინისტრაციული სამსახური	
შესრულების შედეგი	**შესრულებულია**	
შესრულების მტკიცებულება	პროექტი “გააზიარე ცოდნა, გააზიარე გამოცდილება” დასრულდა. პროექტი წარმატებით დაასრულა 25-მა მსმენელმა. პროექტის დასასრულს თითოეულმა წარადგინა საფინალო პრეზენტაცია, გაიმართა სერტიფიკატების გადაცემის ცერემონია, რომელზეც მონაწილეებს გადაეცათ ტრენინგის წარმატებით გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები.	

სტრატეგიული მიზანი 3. აკადემიის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას ინსტიტუციურ დონეზე, ასევე ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა საერთაშორისო შრომის ბაზარზე დასაქმების შესაძლებლობების გაძლიერებას, საგანმანათლებლო სერვისის ექსპორტს და ქვეყნის ინტეგრაციას საერთო ევროპულ სივრცეში		
სტრატეგიული ამოცანა	**3.1. უცხოენოვანი, ერთობლივი ან გაცვლითი პროგრამების შემუშავება.**	შენიშვნა
აქტივობები	3.1.1. საბაჟო საქმის უცხოენოვანი პროგრამის შეფასება და მომზადება საავტორიზაციოდ.	
ინდიკატორი	1. არსებობს შესაბამისობის დასკვნა და შესაბამისობის გეგმა 2. შეტანილია საავტორიზაციო განაცხადში	
განხორციელების პერიოდი	**2025 წლის იანვარი - 2025 წლის აპრილი**	
პასუხისმგებელი	ხარისხის მართვის სამსახური	
თანაშემსრულებელი	სპმს	
შესრულების შედეგი	**შესრულებულია**	
შესრულების მტკიცებულება	სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ 2025 წლის 18 ივლისს, სამსახურეობრივი ბარათით N13258 წარმოდგენილ საბაჟო საქმის ინგლისურენოვან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, ხარისხის მართვის სამსახურის მიერ 2025 წლის 28 ივლისს, N13901 გაცემულია დასკვნა, რომლის მიხედვითაც პროგრამა სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტებს. მიღებულია გადაწყეტილება საავტორიზაციო განაცხადში პროგრამის შეტანის თაობაზე.	
სტრატეგიული ამოცანა	**3.1. უცხოენოვანი, ერთობლივი ან გაცვლითი პროგრამების შემუშავება.**	შენიშვნა
აქტივობები	3.1.2. ერთობლივი ან გაცვლითი პროგრამის პარტნიორის მოძიება და მოლაპარაკებების დაწყება.	
ინდიკატორი	1. არსებობს თანამშრომლობის მზაობა და შექმნილია სამუშაო ჯგუფი	
განხორციელების პერიოდი	**2024 წლის ნოემბერი- 2025 წლის ოქტომბერი**	
პასუხისმგებელი	სასწავლო პროცესის მართვის სამსახური	
თანაშემსრულებელი	ადმინისტრაციული სამსახური	
შესრულების შედეგი	**შესრულებულია**	

შესრულების მტკიცებულება	გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმები მიუნხენის და გიუმრის კოლეჯებთან.	
სტრატეგიული ამოცანა	**3.2. აკადემიის პერსონალის შესაძლებლობების განვითარება ინტერნაციონალიზაციის მიზნებისათვის.**	**შენიშვნა**
აქტივობები	3.2.1. თანამშრომელთა არსებული კომპეტენციის კვლევა ენის ფლობის კონტექსტში.	
ინდიკატორი	1. არსებობს თანამშრომელთა შესახებ სისტემატიზებული ინფორმაცია უცხოური ენის ფლობის ნაწილში	
განხორციელების პერიოდი	**2025 წლის თებერვალი - 2025 წლის მაისი**	
პასუხისმგებელი	ადმინისტრაციული სამსახური	
შესრულების შედეგი	**შესრულებულია**	
შესრულების მტკიცებულება	განხორციელდა თანამშრომლეთა ტესტირება ონლაინ ფორმატში. ტესტირების დასრულების შემდგომ სერტიფკატი დაგენერირდა ავტომატურად, რამაც განსაზღვრა ტესტირებაში ჩართული პერსონალი ინგლისური ენის ფლობის დონე.	
სტრატეგიული ამოცანა	**3.2. აკადემიის პერსონალის შესაძლებლობების განვითარება ინტერნაციონალიზაციის მიზნებისათვის.**	**შენიშვნა**
აქტივობები	3.2.2. ენის კომპეტენციის განვითარების კონცეფციის შემუშავება.	
ინდიკატორი	1. არსებობს კონცეფცია, რომელიც მოიცავს ალტერნატიულ მიდგომებს და გზებს, მათი ეფექტიანობის თვალსაზრისით.	
განხორციელების პერიოდი	**2025 წლის აპრილი - 2025 წლის ივლისი**	
პასუხისმგებელი	ადმინისტრაციული სამსახური	
შესრულების შედეგი	**შესრულებულია**	
შესრულების მტკიცებულება	პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციის განვითარების კონცეფციის ანგარიში	
სტრატეგიული ამოცანა	**3.3. აქტიური ჩართულობა პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებულ საერთაშორისო პლატფორმებში და აქტიური პარტნიორული ურთიერთობების განვითარება უცხო ქვეყნის ორგანიზაციებთან.**	**შენიშვნა**
აქტივობები	3.3.1. საერთაშორისო თანამშრომლობის პლატფორმის შერჩევა და პლატფორმაზე გაწევრიანების განაცხადის გაკეთება.	
ინდიკატორი	1. არსებობს პლატფორმაზე გაწევრიანების მიზანშეწონილობის დასაბუთება და გაკეთებულია განაცხადი	

განხორციელების პერიოდი	**2024 წლის ნოემბერი - 2025 წლის დეკემბერი**	
პასუხისმგებელი	ადმინისტრაციული სამსახური	
თანაშემსრულებელი	რექტორი	
შესრულების შედეგი	**შესრულებულია**	
შესრულების მტკიცებულება	აკადემია გაწევრიანებულია EfVET და ETF Excellence Network- ებში, რაც დასტურდება წევრობის შესახებ წერილებით	
სტრატეგიული ამოცანა	**3.3. აქტიური ჩართულობა პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებულ საერთაშორისო პლატფორმებში და აქტიური პარტნიორული ურთიერთობების განვითარება უცხო ქვეყნის ორგანიზაციებთან.**	**შენიშვნა**
აქტივობები	3.3.2. უცხოურ ინსტიტუციებთან არსებული ხელშეკრულებების ინვენტარიზაცია.	
ინდიკატორი	1. ინვენტარიზაციის დოკუმენტი მოიცავს ყველა ასპექტს (ვადა, ფორმატი და განხორციელებული/დაგეგმილია აქტივობა)	
განხორციელების პერიოდი	**2025 წლის მაისი - 2025 წლის ოქტომბერი**	
პასუხისმგებელი	ადმინისტრაციული სამსახური	
შესრულების შედეგი	**შესრულებულია**	
შესრულების მტკიცებულება	სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ პერიოდში განხორციელდა უცხოურ ინსტიტუციებთან დადებული ხელშეკრულებების ინვენტარიზაცია. რის შედეგადაც დაიდენტიფიცირდა ვადაგასული ხელშეკრულებები, რომლებიც აკადემიის ერთიანი საქმისწარმოების წესის გათვალისწინებით განადგურდა, შესაბამისად, პარტნიორთა რეესტში ამ ეტაპისთვის წარმოდგენილია მხოლოდ აქტიური ხელშეკრულებები. ინვენტარიზაციის პროცესში "პოტენციურ დამსაქმებელთა და პარტნიორ საწარმოთა რეესტრის" სრულყოფის მიზნით პროცესი მოიცავდა ყველა არსებითი პარამეტრის აღწერას, მათ შორის: ორგანიზაციის სახელწოდება, იდენტიფიცირების შემთხვევაში საიდენტიფიკაციო კოდი, მათი იურიდიული ფორმა, საკონტაქტო ინფორმაცია, თანამშრომლობის სახე, ხელშეკრულების ნომერი და გაფორმების თარიღი და მოქმედების ვადა. შესრულების მტკიცებულებას წარმოადგენს ინვენტარიზაციის დოკუმენტი - **"პოტენციურ დამსაქმებელთა და პარტნიორ საწარმოთა რეესტრი".**	
სტრატეგიული ამოცანა	**3.4. აკადემიის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება საერთაშორისო თანამშრომლობის განსახორციელებლად.**	**შენიშვნა**

აქტივობები	3.4.1. აკადემიის საინფორმაციო ინფრასტრუქტურის (აბრები, ინსტრუქციები, წესები მიმმართველები) მომზადება ქართულ და ინგლისურ ენებზე.	
ინდიკატორი	1. ყველა საჯარო წარწერა არის ორენოვანი	
განხორციელების პერიოდი	**2024 წლის ნოემბერი - 2025 წლის იანვარი**	
პასუხისმგებელი	ადმინისტრაციული სამსახური	
შესრულების შედეგი	**შესრულებულია**	
შესრულების მტკიცებულებაა	აკადემიის A და B კოპრუსის მიმმართველები, ინსტრუქციები და აბრები აღჭურვილია ორ ენაზე.	
სტრატეგიული ამოცანა	**3.4. აკადემიის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება საერთაშორისო თანამშრომლობის განსახორციელებლად.**	**შენიშვნა**
აქტივობები	3.4.2. აკადემიის სტრუქტურაში და საშტატო განრიგში ფუნქციის და პოზიციის გათვალისწინება საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით.	
ინდიკატორი	1. აკადემიის დებულება ითვალისწინებს შესაბამის ფუნქციებს, ხოლო სამუშაო აღწერილობა შესაბამის კომპეტენციებს.	
განხორციელების პერიოდი	**2024 წლის ნოემბერი - 2025 წლის იანვარი**	
პასუხისმგებელი	ადმინისტრაციული სამსახური	
შესრულების შედეგი	**შესრულებულია**	
შესრულების მტკიცებულება	რექტორის ფუნქციებში გაიწერა რომ ის დ) უზრუნველყოფს აკადემიის ინტერნაციონალიზაციის პროცესების კოორდინაციას; მუხლი 6, პუნქტი 1, რასაც ადასტურებს რექტორის ფუნქციები (დებულება), და რექტორის სამუშაო აღწერილობა.	
სტრატეგიული ამოცანა	**3.4. აკადემიის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება საერთაშორისო თანამშრომლობის განსახორციელებლად.**	**შენიშვნა**
აქტივობები	3.4.3. საბაჟო საქმის ინგლისურენოვანი პროგრამის სასწავლო რესურსების შეფასება.	
ინდიკატორი	1. პროგრამის სასწავლო რესურსების შეფასების შესახებ არსებობს დასკვნა	
განხორციელების პერიოდი	**2025 წლის იანვარი - 2025 წლის აპრილი**	
პასუხისმგებელი	სასწავლო პროცესის მართვის სამსახური	

თანაშემსრულებელი	ხმს; სპმს	
შესრულების შედეგი	**შესრულებულია**	
შესრულების მტკიცებულება	1. სამსახურეობრივი ბარათი პროგრამაში ცვლილების შესახებ. 2. ბრძანება პროგრამაში ცვლილების შესახებ.	
სტრატეგიული ამოცანა	**3.4. აკადემიის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება საერთაშორისო თანამშრომლობის განსახორციელებლად.**	**შენიშვნა**
აქტივობები	3.4.4. საბაჟო საქმის ინგლისურენოვან პროგრამაში დისტანციური/ჰიბრიდული სწავლების შესაძლებლობების გათვალისწინება.	
ინდიკატორი	1. პროგრამაში იდენტიფიცირებული დისტანციური სწავლების/შეფასების მიდგომები და შესაბამისი კომპონენტები	
განხორციელების პერიოდი	**2025 წლის იანვარი - 2025 წლის აპრილი**	
პასუხისმგებელი	სასწავლო პროცესის მართვის სამსახური	
შესრულების შედეგი	**შესრულებულია**	
შესრულების მტკიცებულება	პროგრამა	
სტრატეგიული ამოცანა	**3.5. სტუდენტების მხარდაჭერა ინტერნაციონალიზაციის პროცესში.**	**შენიშვნა**
აქტივობები	3.5.1. ექვსი პროგრამა გაანალიზებულია ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობების ჭრილში და საინფორმაციო მასალებში ინტეგრირებულია შესაბამისი ინფორმაცია.	
ინდიკატორი	1. ანალიტიკური ინფორმაცია მოიცავს საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამის ინფორმაციას	
განხორციელების პერიოდი	**2025 წლის იანვარი - 2025 წლის მაისი**	
პასუხისმგებელი	სასწავლო პროცესის მართვის სამსახური	
თანაშემსრულებელი	ადმინისტრაციული სამსახური	
შესრულების შედეგი	**შესრულებულია**	
შესრულების მტკიცებულება	სამსახურეობრივი ბარათი - ინფორმაცია პროგრამების ინტერნაციონალიზციის ხარისხის შესახებ; რილსი პროგრამების ინტერნაციონალიზციის ხარისხის შესახებ;	
სტრატეგიული ამოცანა	**3.5. სტუდენტების მხარდაჭერა ინტერნაციონალიზაციის პროცესში.**	**შენიშვნა**
აქტივობები	3.5.2. სტუდენტურ და სხვა საჯარო სივრცეებში ინტერნაციონალიზაციის აქცენტების გაძლიერების კონცეფციის შემუშავება.	

ინდიკატორი	1. არსებობს კონცეპტუალური დოკუმენტი ან ამ თემაზე ორგანიზებულია შეხვედრა, რომელიც მოიცავს გადაწყვეტას ინტერნაციონალიზაციის აქცენტებთან დაკავშირებით	
განხორციელების პერიოდი	**2024 წლის ნოემბერი - 2024 წლის დეკემბერი**	
პასუხისმგებელი	ადმინისტრაციული სამსახური	
შესრულების შედეგი	**შესრულებულია**	
შესრულების მტკიცებულება	აკადემიის მენეჯმენტის სამუშაო შეხვედრაზე, შემუშავდა ხედვა სტუდენტურ და სხვა საჯარო სივრცეებში ინტერნაციონალიზაციის აქცენტების გაძლიერების მიზნით, რაც გულისხმობს: აკადემიის B კორპუსში საერთაშორისო არაფორმალური სივრცის მოწყობას, მდგრადი განვითარების გლობალური მიზნებისა და ევროპის 5 მთავარი ღირებულების განთავსებას. მტკიცებულება: მენეჯმენტის სამუშაო შეხვედრის დასწრების ფუცელი.	

ტექსტში გამოყენებულ აბრევიატურებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ასს **- ადმინისტრაციული სამსახური**
სპმს **- სასწავლო პროცესის მართვის სამსახური**
ხმს **- ხარისხის მართვის სამსახური**